

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი №30

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.№65

19 დეკემბერი 2018 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, კობა მაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში-სალომე ფახურიძე.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი-ივანე მამფორია;

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-გელა ჩიტორელიძე.

სხდომა 13³⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა 2018 წლის 19 დეკემბრის საკრებულოს სხდომის

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს. /ივანე მამფორია/

2. „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“.

მომხს. /გელა ჩიტორელიძე/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა 2018 წლის 19 დეკემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი.

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე; (დანართი N2)

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობა იზრდება 145.0 ათასი ლარით. ბიუჯეტის ცვლილება განპირობებულია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წლის 13 დეკემბრის N2367 განკარგულებით გამოყოფილი თანხების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვით. 38,2 ათასი ლარი მოხმარდება ქალაქ ვანში და სულორის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი

სახლების გადახურვის სამუშაოებს. ხოლო 106,8 ათასი ლარით სამშენებლო მასალები გადაეცემა სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიტორელიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“.

(დანართი N3)

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო 2019 წელს განკარგულების პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა სრული ღირებულება შეადგენს 10162696 (ერთი მილიონ ას სამოცდა ორი ათას ექვსას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარს შეადგენს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე